№ 185 | 1877—1897 | № 185

კვირა, 7 სექტემბერი, 1897 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227

# ივერია

კვირა, 7 სექტემბერი, 1897 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

დღესასწაულისა გამო, შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 10 სექტემბერს.

**ელენე კონსტანტინეს ასული, დეკანოზი მოსე და მღვდელი სერაპიონ კიკნაველიძენი** აუწყებენ რა გარდაცვალებასა პირველი ქმრისას, მეორე—შვილისას და მესამე—ძმისას, უწმ. სინოდის კანტორის მდივნის, ნადვორნი სოვეტნიკის

**ილია მოსეს ძის კიკნაველიძისას**

სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ მობრძანდნენ დ. ყვირილაში მისის გვამის დაკრძალვაზედ დასასწრებლად. ანდერძის აგება იქმნება 7-ს, გასვენება 8-ს და დასაფლავება სოფ.ლს კიკნაველეთში 12 ამა სექტემბერს. (1—172—1)

**სოფიო სოლომონის ასული, ნადვორნი სოვეტნიკი ზაქარია გიორგის ძე ყანდარელები, ბარბარე ცინცაძისა და მართა ნადირაშვილი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველი ძმისწულისა, მეორე ბიძაშვილისა, უკანასკნელნი დისა

**პელაგია გიორგის ასულის ნადირაშვილისას.**

პანაშვიდი გარდახდილ იქმნება დღეს, 7, შუადღის 12 საათზედ და საღამოს 8 საათზედ, ახალი არსენალის ქუჩა, № 36. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული „ტფილის. ფურცელში". (1—173—1)

**მხატვარი გ. ი. გაბაშვილი**

დაბრუნდა-რა საზღვარ-გარეთიდგან, აარსებს მხატვრობის სასწავლებელს.

პირობათა შეტყობა შეიძლება სასახლის ქუჩაზედ, ქართველ თავად-აზნაურობის სახლში, ბ-ნ როინაშვილის ფოტოგრაფიის გვერდით, დილის 10-დგან 12 საათამდე და საღამოს 4-დგან 6 საათამდე.

სწავლა 10 სექტემბრიდგან დაიწყება. (2—168—1)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა (კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ყ. მ. ჩაქოგანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

ა. ზ. კარაშეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. დღით 1½—2½ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

ა. მ. ზუდინოვი. 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (წ)

**სასწავლებელი და პანსიონი**

**გ. ლ. კუზანოვისა.**

მიიღებს მოსწავლეებს 25 აგვისტოდგან. სწავლა დაიწყება 1 სექტემბრიდგან.

მუხრანიანთ და ვანქის ქუჩების კუთხეში, სახლი ყორღანოვისა და ჯანშიევისა, № 12. (7—170—2)

# ახალი ამბავი

—

⁂ კავკასიის მთავარ მართებელი გენერალ ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი გუშინ, 6-ს სექტემბერს, ტფილისს დაბრუნდა ყარსის ოლქიდგან.

⁂ გუშინ წინ ტფილისს ჩამოვიდა 40 გეოლოგი, რომელნიც მეორე დღეს 6-ს სექტემბერს ბაქოს გაემგზავრნენ ნავთის წყაროების დასათვალიერებლად. დღეს კიდევ მოელიან 80 უცხოელ გეოლოგს, რომელნიც აგრეთვე ბაქოს წავლენ. იქიდგან ყველანი ტფილისს დაბრუნდებიან 10-სექტემბერს; ამავე დღეს კავკავის გზით ჩამოვა ტფილისს კიდევ 120 უცხოელი გეოლოგი.

⁂ გუშინ, 6-ს სექტემბერს, ელისაბედისა და ბულვარის ქუჩის კუთხეში ინჟენრების კარაპეტოვისა და ბ.რეჟანოვის თუჯის დამდნობ ქარხანაში შემდეგი უბედურება მოხდა დილის მერვე საათზე. ამას წინად ამ ქარხანას უყიდნია არსენალში ძველი თუჯი დასადნობად. ამ თუჯს შუა თურმე დაუცლელი სამ ფუთიანი ყუმბარა ყოფილა, რომელიც დარჩენილა ოსმალეთთან უკანასკნელის ომის შემდეგ, და გაყიდვის დროს არ შეუმჩნევიათ. ცეცხლთან მიტანის დროს ყუმბარას უფეთქნია და აქ მდგომი მომუშავე მჭედლები დაუჭრია და დაუხოცნია. იქვე მოუკლავს ანტილოპ ჩარბაძე და მინო დავლიანიძე, რომლების გვამიც საანატომიო თეატრში გაგზავნეს. მხოლოდ დაჭრილნი მჭედლები რაგველაშვილი, შიოშვილი, არუთინოვი და გელაძე რკინის გზის საავადმყოფოში გაუგზავნიათ. რაგველაშვილი და შიოშვილი მძიმედ არიან დაჭრილნი და ექიმებს იმედი არა აქვთ მათის მორჩენისა. დილითვე სასამართლოს ბრალმდებელი და გამომძიებელი მოვიდნენ ქარხანაში. გამოძიება სწარმოებს.

⁂ გუშინ ქალაქის გამგეობაში ფიცი მიიღო ათმა ახალმა საბჭოს ხმოსანმა, რომელთაც ფიცი არ მიუღიათ 1-ს სექტემბერს. ჯერ ფიცი არ მიუღიათ კიდევ 18 ხმოსანს, რომელნიც ჯერ ტფილისში არ ჩამოსულან.

⁂ გაზეთ „Кавказъ"-ს დეპეშითა სწერენ პეტერბურგიდგან: გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება, რომ ვიწრო-ლიანდაგიანი რკინის გზა გაკეთდეს ბორჯომიდგან ს. დაბაზე ს. ბაკურიანამდე და ს. დაბიდგან ცაგერამდე.

⁂ გუშინ-წინ, 5 სექტემბერს, ქალაქის სადეზინფექციო კამერაში ძველის ტანთსაცმელის დეზინფექცია მოახდინეს ორთქლით და აღმოჩნდა, რომ ორთქლის გამო ტანთ-საცმელმა თვისი ფერი იცვალა. ამიტომ საცდელად ორთქლის მაგიერად დეზინფექცია ფორმალინით მოახდინეს. აღმოჩნდა, რომ ფორმალინით უკეთესი ყოფილა დეზინფექციის მოხდენა, ვიდრე ორთქლით: არც ერთმა ტანთ-საცმელმა თვისი ფერი არ იცვალა. ამ ჟამად სადეზინფექციო კამერა იმას იკვლევს, რა გავლენა აქვს ფორმალინს მიკროორგანიზმებზედ ანუ სხვა-და-სხვა ბაცილებზედ.

⁂ უსინათლოთა სამზრუნველოს საბჭოს აზრადა აქვს ააგოს საკუთარი შენობა სკოლისათვის თავისისავე ადგილზედ ავლაბარში. შენობა განზრახულია 60 მოსწავლისათვის. ამ ჟამად სამზრუნველოს სასწავლებელში 30 მოსწავლეა.

⁂ ამ ჟამად ტფილისში იმყოფება დანიის ახალგაზდა მეცნიერი აკე ბენედიქტსენი, რომელიც კოპენჰაგენიდგან ჩამოვიდა. ტფილისიდგან ახალგაზდა მეცნიერი ქართლში და შემდეგ ერევნის გუბერნიაში წავა. ბენედიქტსენის მოგზაურობის მიზეზი კავკასიის ერთა თვისებანის შეს-

# ფელეტონი

—

**ნაწყვეტი**

—

რამ დაგაღონა, ძმობილო,
რასთვინ გდის ცრემლი მწარეო,
რად შეგიჭმუხნავს წარბები,
რად გისვამს შხამი, მწარეო?
გამხიარულდი, გამაგრდი,
გულს დარდი გადიყარეო;
ტკბილს „ნანას" კიდევ დაგმღერებს
შენი აღმზრდელი მხარეო!

გოჩა

—◆◆—

**საკუთარი რამე-რუმე**

**წერილი ქუთაისის საპედაგოგიო კურსების გამო.**

ქუთაისის წლევანდელ საპედაგოგიო კურსების შესახებ ადგილობრივ რუსულსა და ქართულ გაზეთებში საკმაოდ ბევრი დაიწერა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ საყურადღებო საქმის ზოგი რამ მაინც დარჩა აუწერელი და გამოუქვეყნებელი, რის გამოც კურსების მსვლელობა-მიმდინარეობის ამბავი ვერ იქმნა ჯეროვანის სისრულითა და სავსებით დასურათხატებული. თქვენი უმორჩილესი მონა, მე ქვემორე ამისა ხელის მომწერი განუყრელი თანამგზავრი, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, თანამაჩანჩალა გახლდით კურსებისა დღიდგან დაწყებისა ვიდრე დასრულებამდე მისსა და რაკი ბედმა ასეთი ბედნიერება მარგუნა, ნუ გაგიკვირდებათ, რომ გავკადნიერდე და ცოტა რამ მეცა ვსთქვა ამ დიდად მნიშვნელოვანის საქმის შესახებ.

როცა ქუთაისში დასავლეთ საქართველოს ყოველ შორეულ და მახლობელ კუთხე-ალაგიდგან შევკრბით სამრევლო სკოლის მასწავლებელნი, სიმართლე უნდა ვსთქვა, ვ.რაფერს კაი სანახავს წარმოვადგენდით. ცალკე მთელის წლის ჯაფისა და სხვა-და სხვა დუხჭირ გარემოებათაგან ბრძოლის გამო დაღლილ-დაქანცულნი, ცალკე მგზავრობისა და უძილობისა გამო დამაშვრალნი, ოფლში და მტვერში მოსვრილნი, გაფხეკილ ჩოხებში, გახუნებულ პიჯაკებში და გაცრეცილ ანაფორებში გამოწყობილნი, რა თქმა უნდა, ვერავის თვალსა და გულს მოვხიბლავდით, ვერავის გრძნობა-გონებას მოვინადირებდით, მით უმეტეს ამ გაუკულმართებულ დროს, როცა გარეგნობას, უმეტესობის აზრით, მეტი ფასი და გასავალი აქვს. ესეც რომ არ იყოს, ჯერ ჩვენს საზოგადოებაში და მწერლობაში სამრევლო სკოლათა მნიშვნელობა ვერ არის ხეირიანად გარკვეულ განმარტებული და უფრო ხშირად მის (სამრევლო სკოლის) წინააღმდეგ ჰბჭობენ და თათბირობენ. ყოველისავე ამის შემდეგ საკვირველი არ იყო, რომ კურსების პირველ ხანებში ბევრნი პესსიმისტურად გვიცქეროდნენ და ზოგნიც ჩვენ დარიბ ჩაცმულობაზედ ოხუნჯობდნენ. ქუთაისი მაინც, როგორც მოგეხსენებათ, ადგილ-საყოფელია ერთის პატივცემულის გვამისა, რომლისა თვისაც ჩვენი სამრევლო სკოლები გამხდარა უძილობისა და მოუსვენრობის მიზეზად და რომელსაც თავისი ამქარი ჰყავს ჩვენ წინააღმდეგ გამოსეული. ეს პატივცემული გვამი და მისი ამქარი თითოეულს ჩვენს ნაბიჯს უთვალთვალებდნენ და, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენის დამცირებისა და დაქვეითების ცდაში იყვნენ გართულნი; თუმცა იმავე დროს მედიდურად და ამაყად გაიძახოდნენ, ისინი (ე. ი. ჩვენ) არც-კი ღირან იმად, რომ კაცმა ყურადღება მიაქციოს და იმათ შესახებ მსჯელობაზედ დრო დაჰკარგოსო. უნდა გამოვტყდე, ჩვენს არა კეთილის მდომთ სხვაგანაც გადავეყარეთ და ამან უფრო გაგვაკვირვა და გაგვაოცა.

ერთს საღამოს აქაურს ბაღში, სადაც ქუთათურები დიდის ბეჯითობით იკრიბებიან მტვერის საყლაპავად და სამასლაათოდ, ერთი ახალგაზდა გაგვეცნო. არ ვიცი, რომელ დასს და სადაურ ამქარს ეკუთვნოდა, ხოლო ის-კი ნამდვილად ვიცი, რომ მსგავსი მისი ჩვენს ცხოვრებაში არა ერთი და ორია და მით უფრო სატირალი და სამგლოვიაროა ჩვენი დრო, ჩვენი ცხოვრება, რომ ასეთ უდღეურ კაცუნებს ამრავლებს. მოჰყვა და ალაპარაკდა ხან რუსულად, ხან ქართულად. ჯერ ჩვენს მოწინავე კაცებს, ჩვენის ლიტერატურის ბუმბერაზებს აუჯო ანდერძი, ხოლო დამარხვის ღირსად კი არ გახადა: მერმე ჩვენი მწერლობა და ჟურნალ-გაზეთები გაანიავა და ქუთაისის მტვერთან ერთად ზენაქარს გაატანა შავის ზღვისაკენ; ბოლოს პირდღრბლიანი სწვდა სამრევლო სკოლებს და ძირიან თხემიანად შეჰმუსრა. ჰიმერა, заблужденіе, ჰიპოტეზა, რეგრესი სულ ჰექა-ქუხილით სცვიოდა ამ თანამედროვე დევ-გმირის ბაგეთაგან. დასასრულ, როცა თავისი მისსია შესრულებულად სცნო, ხუთი შაური დაგვესესხა და წავიდა, ალბად ლუდხანაში, სადაც ამისთანა ყველაფრის გამაქარწყლებელ მოძღვრებას, უეჭველია, კიდევ წაუკითხავდა ვისმე.

ასეთ არა სასურველ გარემოებათა და მითქმა-მოთქმათა მიერ ვიყავით გარემოცულნი უიმისოდაც „ნაკლულევანნი, ჭირვეულნი, მკირ-ხილულნი".

წავლაა. მეცნიერს აზრადა აქვს წავიდეს ოსმალეთის სომხეთში, სადაც მთელს ზამთარს დაჰყოფს.

⁂ გუშინ-წინ, 5 სექტემბერს, დასრულდა მისაღები ეგზამენები მიწის-მზომელთა სასწავლებელში. 53 კაციდგან მხოლოდ 16 იქმნა მიღებული. გუშინვე, 6 სექტემბერს, სწავლა დაიწყო.

⁂ რკინის გზების ინსპექტორი იოლშინი გუშინ, 6 სექტემბერს, საგანგებო მატარებლით ალსტაფას წავიდა, რომ ადგილობრივ ყარსის რკინის გზის ლიანდაგი ინახულოს და დაათვალიეროს, თუ ამ ჟამად მუშაობა რა მდგომარეობაშია.

⁂ ქობულეთსა და ნატანებს შუა რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 5 სექტემბერს, ნაშუადღევის 2 საათიდგან დაიწყო.

⁂ დიღმის სასოფლო საზოგადოების მამასახლისმა ტფილისის მაზრის უფროსს მოხსენება მიართვა, რომ 1-ლს სექტემბერს სეტყვამ საშინლად დააზარალა ადგილობრივი ვენახები.

⁂ სიღნაღის მაზრის სოფ. საქობოსა და ვაქირში საქონელს თურქული აღმოსჩენია.

⁂ გაზ. „ახალ მიმოხ“. პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ: „დადგენილ იქმნა, რომ აბასთუმნის სასანიტარო-სამკურნალო სადგური გაუქმებულ იქმნას“. „მეფუტკრეთა კრება კავკასიაში გადადებულ იქმნა მომავალი წლის სექტემბრისათვის“.

⁂ აკადემიკოსი თავ. ი. რ. თარხნიშვილი ტფილისში, „ახ. მიმოხ.“ სიტყვით, ამ თვის ნახევარში ჩამოვა. თავ. თარხნიშვილი ამ ჟამად იტალიაშიაო.

⁂ გუშინ-წინ, 5 სექტემბერს, კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის აგრონომები ბ-ნი სტაროსელსკი და თავ. ანდრონიკაშვილი კახეთში წავიდნენ ვაზის ავადმყოფობის ბლეკროტის გამოსაკვლევად და იმის გასაგებად, თუ რამდენად არის მოდებული ეს სენი.

⁂ „ტფ. ფურც.“ ატყობინებენ პეტერბურგიდგან: „ტფილისის ვაჭართა წესდების პროექტი ტფილისში საკომერციო შვიდ-კლასიანი სასწავლებლის დაარსების შესახებ, განხილულ და მოწონებულ იქმნა ფინანსთა სამინისტროს სწავლულთა კომიტეტისაგანაო.“

⁂ ბათუმი. ბათუმის გიმნაზიას აკურთხებენ და სწავლა დაიწყობა 14 სექტემბერს. ქალაქის გამგეობამ კურთხევაზედ მიიწვია: ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გენერალ-ლეიტენანტი შალიკოვი, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი კ. პ. იანოვსკი, ქუთაისის გიმნაზიის დირექტორი და სხვანი. წელს სწავლა იქნება მხოლოდ ორს მოსამზადებელს, პირველსა და მეორე კლასებში.

⁂ სად. ბელაგორი. 6 სექტემბერს, დილის 4 საათზედ, მე-140 ვერსზედ, მიწის ზვავი ჩამოწვა, ასე 5 კუბიკური საჟენი. გზის გაწმენდას უკვე შეუდგნენ.

⁂ გუშინ-წინ, 5 სექტემბერს, ორთაჭალაში, ტფილისის მოქალაქემ ივანე სუხინიძემ, რომელიც თუნიევის თუქანში ჰმსახურებდა, მთვრალმა დანა დაიკრა გულში. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს.

**შეცდომის გასწორება.** „ივერიის“ მე-150-№-ში შეცდომით დაბეჭდილი გვქონდა: „პატარძეულის წიგნთ-საცავის დასაარსებლად შემოსწირეს: გიორგი ზუბალაშვილმა 10 მანეთი და სოლომონ კიკნაძემ—1 მანეთი“, უნდა იყოს: გიორგი ზუკაკიშვილმა—10 მან. და სვიმონ კიკნაძემ—1 მან.

## წერილი იურიევიდგან

იურიევი (დორპატი) თუმცა რუსეთს ეკუთვნის, მაგრამ მცხოვრებნი უმეტესად გერმანელები და ესტონელები არიან. მცხოვრებლებიც თავიანთ სამშობლო ენაზედ ლაპარაკობენ, ასე რომ რუსულს ძალიან იშვიათად გაიგონებთ. თითონ ქალაქი კარგა მოზდილია და შიგ არსებობს, სხვა-და-სხვა საშუალო სასწავლებლების გარდა, ორი უმაღლესი სასწავლებელი: უნივერსიტეტი და საბეითალო ინსტიტუტი. ქართველს ვერ იპოვნით აქ ექვსის სტუდენტის გარდა. ქალაქში ჯერ-ჯერობით იპყრობს ყურადღებას გამოფენა, რომელიც ყოველ წლივ იმართება აგვისტოს თვის გასულს. გამოფენა იმითია შესანიშნავი, რომ ახლო-მახლო გუბერნიებში მცხოვრებთა გარდა, მონაწილეობას იღებენ გერმანელებიც. თვით გამოფენის დარბაზი შესდგება რამდენისამე განყოფილებისაგან: პირველს განყოფილებაში, სხვათა შორის, ყურადღებას იქცევს ვარშავის ყრუთა და ბრმათა მიერ ხელოვნურად გაკეთებული ხის თეფშები და სხვა-და-სხვა ხის ავეჯეულობა. იქავე პონიმონიის ქალთა სამეურნეო ინსტიტუტის ნამუშავარი. იმ კუთხეში, სადაც აწყვია ამ ქალების ნამუშავარი, სდგანან თვით მოსწავლე ქალნი, რომელნიც აცნობენ ხალხს თავიანთ ნაწარმოებს და ურიგებენ, ვინც მოიწადინებს, თავიანთ სასწავლებელში შესასვლელ პროგრამებს.

რაკი ინტერეს მოკლებული არ არის ამათი პროგრამა, მინდა გავაცნო იგი მკითხველებს, მით უმეტეს, რომ ჩვენშიაც სანატრელია ასეთის სასწავლებლის არსებობა. ეს ქალთა ინსტიტუტი არსებობს დაბა პონიმონიაში, ბაუსკის მახლობლად. ამ სასწავლებელში ორი განყოფილებაა: სამეურნეო და საბაღოსნო, ეს უკანასკნელი კიდევ რამდენისამე სპეციალ განყოფილებად ჰნაწილდება. სამეურნეო განყოფილებაში შეუძლიან შესვლა ყველას, როგორც გასათხოვართ, აგრეთვე გათხოვილსა და ქვრივ ქალებს. პირველს წელიწადს ასწავლიან: პირუტყვების მოვლასა და მოშენებას, კარაქ-ყრბოს და თერთმეტ ნაირ ყველის კეთებას, ღორებისა, ფრინველების მოვლასა და მოშენებას, მეურნეობას, ბაღოსნობას, რეცხვასა და უთოს ხმარებას, ქარგვას, ჭრა-კერვას, ცხვრის მოვლასა და მოშენებას, საჭმლებისა, სანთლისა, საპნისა, სახამებლისა და მურაბის კეთებას, მეფუტკრეობას, აგრეთვე წერა-კითხვას, არითმეტიკას, რუსულს, სამშობლო ენას და ბუხჰალტერიას. მეორე წელს მოკლე კურს ჯანმრთელობისას, პირველ შემწეობის აღმოჩენას უბედურს შემთხვევაში, ავადმყოფთა მოვლას, ჭირიან საქონლის პატრონობას, წნილეულობის, ხორცის, შაშხის, ძეხვის, საზღვარ-გარეთულ ყველის და ტკბილეულობის გაკეთებას. სულ სწავლა ორს წელიწადს გასტანს ხოლმე. როგორც სწავლის აგრეთვე შენახვის ფასი 150 მან.

საბაღოსნო და იმისს სპეციალ კურსებზედ, როგორც პროგრამა ამბობს, შეუძლიანთ შესვლა მხოლოდ საკმარისად განათლებულ ქალთ. აქაც ორს წელიწადს რჩებიან სასწავლებლად. გამოდიან მებაღენი. სწავლის ფასი აქ ძვირია, თვეში ქალი იხდის 45 მანეთს.

გამოფენის მეორე განყოფილებაში ყურადღების ღირსია სხვა-და-სხვა სამეურნეო მანქანები. მაგალითად, სათესავი მანქანა ნომანისა, რომელსაც შეუძლიან დღეში 9 დესიატინა დასთესოს და ჰღირს 375 მან.; ორთქლით მომქმედი წისქვილი, რომელიც 325 ფ. ჰფქვავს, ამერიკული უქაროდ სანიავებელი და სალეწი მანქანები და სხვ.

არც პირუტყვების განყოფილება არის ინტერეს მოკლებული. უფროკი ყურადღებას მაყურებლისას იზიდავს ინგლისურის ჯიშის ცხენი, რომელმაც პეტერბურგში დოღზედ 50 ათასი მან. ჯილდო აიღო; ინგლისურივე ჯიშის ღორი, სიმძიმით 15 ფუთი, და ძროხა, რომელიც ვედრო ნახევარს რძეს იწველის.

გამოფენა ძალიან ღარიბია მცენარეულობით. კართოფილისა, ჭარხალისა, გოგრისა და სხვა და-სხვა პურისა და ქერის თესლის გარდა, სხვას ვერას შეხვდებით. შესასვლელი ბილეთი პირველ დღეს ჰღირს 1 მან., შემდეგ 20 კაპ.

მიხეილ ბენაშვილი

# რუსეთი

—

რკინის გზათა სასანიტარო სამკურნალო საერთაშორისო კონგრესი ლიუტიხის უნივერსიტეტის პროფესორის ნიუელის თავმჯდომარეობით მოხდება.

— ვაჭრობისა და სამანუფაქტურო დეპარტამენტში ამ ჟამად უკვე მასალას აგროვებენ მატყლის მწარმოებელთა კრებისათვის, რომელიც მოსკოვშია დანიშნული.

— პეტერბურგელ ელექტრო-ტეხნიკოსთა შორის ამ ჟამად დიდი ლაპარაკი გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ლონდონში ახალი საკომერციო საზოგადოება შესდგა ამ სახელით „უმავთულო ტელეგრაფისა და ცნობების მისაწოდ-მოსაწოდებელი ამხანაგობა“, რომელსაც 2,500,000 ფრანკი თანხა აქვს. საზოგადოებას აზრადა აქვს მარკონის მიერ ახლად გამოგონილი უმავთულო ტელეგრაფის გამართვის უფლება შეისყიდოს და შემოიღოს.

— პეტერბურგში ცნობილის მილიონერის ბარონის გირშის მემკვიდრეთა რწმუნებული ჩამოვიდა. როგორც ხმა დადის, იგი იმისთვის ჩამოსულა, რომ ადგილობრივ განიხილოს და გამოარკვიოს შუამდგომლობანი იმ ებრაელთა, რომელნიც ვენის საქველ-მოქმედო კომიტეტს მრავალს სთხოვენ, რომ არგენტინის რესპუბლიკაში გადასასახლებლად შემწეობა აღმოუჩინონ.

— რუსეთის ქვის ნახშირი დღითი-დღე სრულიად სდევნის ინგლისურს ქვის ნახშირს. შარშან ბალტიის ფლოტმა 1 მილიონი ფუთი დონის ქვის ნახშირი იხმარა. ამ წელს-კი სამინისტროს უკვე პირობა შეუკრავს, რომ 13 მილიონი ფუთი ქვის ნახშირი დაამზადონ დონელმა ქვის ნახშირის პატრონებმა.

— საპატიმროთა მთავარ სამმართველოს უფროსი, სასახლის კამერგერი ა. პ. სალამონი, რომელიც რუსეთის მთავრობის მხრივ დელეგატად იყო დანიშნული საერთაშორისო საპატიმროთა კომისიაში, უმაღლესად დანიშნულ იქმნა, რომ აღნიშნულ კომისიის სხდომებზედ მონაწილეობა მიიღოს. კომისიას სხდომები სექტემბერში ექმნება ქ. ბრიუსელში და შეიმუშავებს 1900 წელს საერთაშორისო საპატიმროთა მე-VI კონგრესის პროგრამას.

— სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ ამ ბოლოს დროს მრავალი ბროშურა და პატარა წიგნაკები დაჰბეჭდა იმის შესახებ, თუ სოფლის მეურნეობას რა მტრები ჰყავს (მწერები და ჭიები) და რა საშუალება უნდა იქმნას მიღებული მათ წინააღმდეგ საბრძოლველად. სამინისტროს რჩევა მთლად დამყა-

ნაკლულევანნი მით, რომ მთელის კურსების განმავლობაში მხოლოდ თერთმეტი მანეთი გვარგუნეს თითოეულს მასწავლებელს გურია-სამეგრელოს ეპარქიისას და თვრამეტიც იმერეთისას. კურსებმა გასტანა ორმოც-და-ერთ დღეს და ვინ იტყვის, რომ ამ ფულით ამ ხნის განმავლობაში ცოტაოდნად რიგიანი ცხოვრება მოგვეხერხებოდა. კიდევ კარგი, რომ კიტრისა და საზამთროს იაფობის დრო შეგვხვდა და, გარდა ამისა, ზოგიერთები მადლიანმა კაცებმა შეგვიფრდომეს და ბინა გვიჩინეს, თორემ უამისოდ აბა რას გავხდებოდით, როცა ჩვენგანთა უმეტესობის ავლა-დიდება ქუთაისში მისვლის დღესვე არარაობა იყო. ჭირვეულნი, ღმერთს სიმართლე უყვარს, არა თუ მარტო ჩვენ ვიყავით, არამედ ყველა ისინიც იყვნენ, ვინც იმ დროს ქუთაისში სცხოვრობდა. მტვერი, ქარი, სიცხე-პაპანაქება და მთელი ურდო ბაღლინჯოებისა მოსვენებას არ გვაძლევდა. ძვირ-ხილულნი! განა მეტი ძვირის ხილვა-ღა შეიძლება, რასაც ჩვენ, ანკარა და დაბროლებულ წყაროს წყალს დაჩვეულნი, ვხედავდით რიონის წყალში, რომელსაც ნებსით თუ უნებლიეთ სასმელად ვხმარობდით!

მიუხედავად ამა ყოველთა, გვახსოვდა რა სიტყვები მაცხოვრისა: „რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხოვნდესო“, როგორც იყო, არ გავიტეხეთ გული, არ წარვიკვეთეთ სასოება, ყოველგვარი დაბრკოლება ავიტანეთ და საქმეს ბოლომდე მივყევით, მართალია, ზოგჯერ დავიწყებდით დრტვინვას ჩვენ უფროსთა და ხელმძღვანელთა მიმართ, მაგრამ განვიცდიდით რა გონების თვალით, რომ ისინიც ჩვენთან ერთად ეწეოდნენ შრომისა და ჯაფის უღელს, კდემა და დუმილი მოგვიცვავდა ხოლმე. არავისთან რა გვქონდა სადრტვინავი და სასაყვედურო! გვასწავლიდნენ, გვავარჯიშებდნენ და გვამზადებდნენ იმ ძნელისა და პასუხსაგებ საქმისათვის, რომელიც თავს გვედვა. ამას გარდა, რომ შიმშილით სიკვდილისაგან უზრუნველ ვყოფილვიყავით, პურის ფულსაც ხომ გვაძლევდნენ და ამ შემთხვევაში დრტვინვა ჩვენის მხრით უმაღლესის ხარისხის უგუნურება არ იყო?!

ჩვენნი უფროსნი ერთს მათთვის არა სათანადო საქციელში იყვნენ მხოლოდ სასაყვედურონი და ამის შესახებ არცა ძალმიძს, რომ დავიდუმო, ვინაიდგან

ავს რომ ავი არ ვუწოდო,
კარგს სახელად რა დავარქო!

ერთმანეთში ვერ თავსდებოდნენ. ერთი ალთას მიიწევდა და მეორე ბალთას, ერთის წალმა ხნულს მეორე უკუღმა ჰფარცხავდა, რის გამოც კურსების ლაზათს ბევრი რამ დააკლდა. სად ერთობილის ძალით შრომა და სად კინკლაობა საზოგადო და საერთო საქმეში! ალბად დაავიწყდათ დაუვიწყარი და მუდამ ჟამ სახსოვარი მოძღვრება მოციქულისა, რომელიც იტყვის: „ერთ სულ და ერთ ზრახვა იყვენით!.. ხოლო უკეთუ ურთიერთაარს იკბინებოდეთ და შეიჭამებოდეთ, იხილეთ ნუ უკვე ურთიერთაარს განილინეთ“.

ასე თუ ისე, ჩვენ არა კეთილის მყოფელთა სურვილის წინააღმდეგ, კურსები წაღმართად დასრულდა. მასწავლებელთა უმეტესობამ საკმაოდ რიგიანად შეითვისა და შეიგნო, რასაც კურსებზედ ასწავლიდნენ. სამს განყოფილებასთან მეცადინეობის წესრიგის და ხერხის ცოდნა მრავალმა გამოიჩინა სამაგალითო თუ სანიმუშო გაკვეთილების მიცემის დროს. ხოლო სამეურნეო საგნებში თითქმის ყველამ ჩინებულად მიუგო გამოცდის დროს... მაგრამ (ესეც ჩემის კალმის სიჩათლახე და სივაგლახე, რომ „უმაგრამოდ“ ვერაფერს ვამბობ) ყოველივე ის, რაც ქუთაისში თუ სხვაგან გვასწავლეს, ფუჭი და ამაო იქნება, უკეთუ თითოეული ჩვენგანი სპეციალურ წიგნებისა და ჟურნალ გაზეთების საშუალებით თვითგანვითარებას არ ეცადა და ვიწრო ფარგალი ცოდნისა არ გაიფართოვა. ყოველი დარგი მეცნიერებისა თანდა თან ვითარდება, წინ მიდის და ყოველ-დღე ახალ-ახალის აღმონაჩენგამოგონებით მდიდრდება, ხოლო ამაების გამომაქვეყნებელი წიგნები და ჟურნალ-გაზეთებია. და უკეთუ გვინდა თავს ნადებ საქმის წინაშე პირ-ნათლად გამოვიდეთ, არ უნდა დავერიდოთ შრომას, არ უნდა დავერიდოთ წელიწადში რამდენისამე მანეთის მოსაკლისებას, რომ სათანადო წიგნები და ჟურნალ-გაზეთები ვიქონიოთ და ვიკითხოთ. გავიხსენოთ, რას ამბობს წინასწარმეტყველი: „შრომა თქვენი არა შურთათვის არს და რუდუნება თქვენი არა სიმაძღრედ“. ამ სიტყვებს, ვგონებ, განმარტება აღარ ესაჭიროება და თუ ესაჭიროება, ისიც ჩვენი სირცხვილი!

მთელის კურსების განმავლობაში ერთი ისეთი დღე გამოგვერია, რომლის ხსოვნაც მრავალთა გულის ფიცარზედ სიკვდილამდე იქმნება აღბეჭდილი. ფერის ცვალება დღეს გელათში წაგვიყვანეს და გვაჩვენეს ეს ჯერ კიდევ უკუღმართ დრო და ჟამის მიერ შეუმუსრავი დიდებული ნაშთი ჩვენის წარსულის დიდებისა. დიახ, ვნახეთ გელათი „ადგილი იგი, რომლის მშვენებას ვერ ასწერს ხე-

რებულია სამინისტროს ენტომოლოგთა უკანასკნელს გამოკვლევაზედ. სამინისტროს მიერ ნაჩვენები საშუალებანი და რჩევანი გლეხთა მეურნეობასთან შეთანხმებულია და საძნელო სრულიად არ არის, რომ ეს საშუალებანი იღონონ.

— დედათა საპედაგოგიო კურსებზედ მისაღები ეგზამენები 2 სექტემბერს დაიწყო.

— სხვა საშუალებათა შორის სამეურნეო სამინისტროსთან არსებული საგანგებო კომისია რუსეთის სოფლის მეურნეობის განსაკარგებლად საადგილ-მამულო და მოკლევადიან კრედიტის დაარსებას ურჩევს. კომისია ურჩევს აღნიშნული კრედიტი იმავე რიგად იქმნას შემოღებული, როგორც ფინლიანდიისა, ბალტიისა და ვისლის მხარეშია საადგილ-მამულო საურთიერთო კრედიტის საზოგადოების მიერ შემოღებული. გარდა ამისა, კომისია ურჩევს საგუბერნიო და საოლქო მელიორაციული ფონდები იქმნას დაარსებული, საიდგანაც სესხი მიეცემათ მეურნეობის გასაუმჯობესებლად და სახელმწიფოს მიერ უზრუნველ ყოფილი ხანგრძლივი ობლიგაციები იქმნება გამოცემული. დასასრულ, შეიძლება მოკლე-ვადიანი კრედიტი სამეურნეო კავშირის ბანკის მაგვარად დაარსდეს, როგორსაც ერობანი და სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებანი აარსებენ და ამ ბანკებს მთავრობამ გაუწიოს მფარველობა, თუ რომ ნება მიეცემათ, რომ საერთო თავდებობით სახელმწიფო ბანკის განყოფილებებში სპეციალური ანგარიში იქონიონ.

— 1-ლ სექტემბრიდგან რუსეთიდგან პრუსსიაში ღორების გაყვანა სრულიად მოსპობილია, რადგანაც საზღვარი მათთვის სრულიად დახურული იქმნება.

— რკინის გზის საზოგადოებათა აქციონერების მომავალს საზოგადო კრებაზედ კვლავ იქმნება აღძრული ლაპარაკი იმის შესახებ, რომ რკინის გზის მსახურთ, რომელნიც 30 მანეთზედ ნაკლებს იღებენ, ჯამაგირიც მოემატოთ.

— უმაღლესს სასულიერო უწყებაში ამ ჟამად ლაპარაკი აღძრულა იმის შესახებ, რომ სასულიერო უწყებაში მსახურთა ობლებსა და ღარიბს ყმაწვილებს დახმარება აღმოუჩინოთ სწავლა-განათლების საქმეებში. სხვათა შორის განზრახვა აქვთ ურჩიონ, რომ ყველა ეპარქიებში საგანგებო თავშესაფარები და სკოლები დააარსონ იმ ობლებისა და ღარიბებისათვის, რომელთაც არავინა ჰყავთ დამხმარებელი, ან მეტად ღარიბი მშობლები ჰყავთ. როგორც უწმ. სინოდში მიღებულ ცნობებიდგანა სჩანს, პერმისა და კიევის ეპარქიებში უკვე შესდგომიან ამ საქმეს.

# უცხოეთი

—

**ავსტრი-უნგრეთი.** ამ დღეებში ავსტრიის სატახტო ქალაქ ვენაში ძველ კათოლიკეთ კონგრესი ჰქონდათ. ამ კონგრესს ძველ კათოლიკეთა აუარებელი წარმომადგენელი დაესწრო, როგორც ევროპიდგან, აგრეთვე ამერიკისა და სხვა მხრიდგან. ბლომად იყვნენ აგრეთვე სტუმრები და მათ შორის დეკანოზი იანიშევსკი (რუსეთიდგან), ეპისკოპოზი რუეჩიჩი, არქიმანდრიტი ვესიჩი და მრავალი სხვა. ბევრის კამათისა და ლაპარაკის შემდეგ კონგრესმა ერთხმად დაადგინა შემდეგი: „მეცადინეობა რომის პაპისა, რომ სხვა-და-სხვა სარწმუნოების ეკკლესიები შეაერთოს, არ დაგვირგვინდა და არც დაგვირგვინდება, რადგანაც რომის პაპას აზრად მხოლოდ სხვა ეკკლესიათა დამორჩილება აქვს და არა მათი გათანასწორება. ამ მეცადინეობის უნაყოფობა იმითაც აიხსნება, რომ რომის პაპის აზრი და შეხედულება ცხოვრებასა და სხვა საგნებზედ ჭეშმარიტებაზედ არ არის დამყარებული და უამისოდ-კი შეუძლებელია წარმატება ეკკლესიისა და მთელის კაცობრიობისა. გარდა ამისა, ბატონობა და ძალ-მომრეობა, როგორც ეს რომის სამღვდელოებაშია, ეწინააღმდეგება როგორც ქრისტიანობის აზრს, აგრეთვე კაცობრიობის პროგრესსა და თავისუფლებას“.

—

**რუმინია.** გაზეთები იუწყებიან, რომ რუმინიის მთავრობა, ოსმალეთის თხოვნით, ყველა სომხებს, რომელნიც უბაშპორტოონი არიან, ისტუმრებს თავისის სახელმწიფოდგან.

—

**ბელგია და გოლანდია.** „სამთა“, „ორთა“ და საერთოდ დიდთა სახელმწიფოთა კავშირებმა და მეგობრობამ ევროპის პატარა სახელმწიფოებიც ჩააფიქრა და ერთმანეთს დაუახლოვა. გაზ. „Neve Freie Presse“-ს სიტყვით, ბელგიაში დიდი ლაპარაკი გამოიწვია დიდთა სახელმწიფოთა დას-დასად დაყოფამ და ამიტომ ბელგიის მთავრობამ მოიწადინა დაუკავშირდეს ჰოლანდიას, რომ გაჭირვების დროს ერთმანეთს დახმარება გაუწიონ. ბრიუსელში უმთავრესად იმისი ეშინიანთ, რომ ფრანგ-გერმანიის ომის დროს ბელგია სომარ მეიდნად არ გადაიქცესო.

—

**ისპანია.** მადრიდში დეპეშით ატყობინებენ კუბიდგან: „მეამბოხეთ კუბაში ქალაქი ვიქტორია-დე-ლას-ტუნასი აიღესო. ამ ამბავმა დიდი ლაპარაკი გამოიწვია ისპანიაში. მინისტრთა საბჭო უკვე შეიკრიბა საქმის ვითარების გამოსარკვევად. ტუნასი მეტად დიდმნიშვნელოვანი ადგილია და ამიტომ მთავრობამ გადასწყვიტა მკაცრი ზომები მიიღოს მეამბოხეთა წინააღმდეგ და, თუ საჭირო იქმნება, ჯარიც-კი გაჰგზავნოს ისპანიიდგან“.

— ასეთსავე არა სანუგეშო ამბებს ფილიპპის კუნძულებიდგან იუწყებიან: ამ დღეებში იქაც მოხდა შეტაკება მეამბოხეთა და მთავრობის ჯარის შორის. შეტაკების დროს 288 მეამბოხე მოუკლავთ და 44 კაცი ტყვეთ წაუყვანიათ. ისპანიის ჯარს მხოლოდ 12 კაცი დაუკარგავს. თითქმის ექვს თვეზედ მეტია, რაც ასეთი ამბები ყოველ დღე ხდება როგორც კუბის, აგრეთვე ფილიპეს კუნძულებზედ, მაგრამ ისპანიის მთავრობამ ვერაფერი მოახერხა და ვერ დაამყარა მშვიდობიანობა ზემოხსენებულ კუნძულებზედ. აშკარაა მკვიდრი მცხოვრებელნი მეტად გატანჯულ და გაწვალებულ მდგომარეობაში არიან ისპანელებისაგან, რომ ასე მედგრად იბრძვიან იმის დარაზმული ჯარის წინააღმდეგ და ამდენის ხალხის სიცოცხლის ფასად უნდა შეიძინონ თავისუფლება. მეორეს მხრით, ეჭვი არ არის, რომ ისპანია აქამდის დააწყნარებდა და დაამშვიდებდა ძალით უიარაღო და უმწეო კუბელებსა და ფილიპელებს, რომ თვით შინაური საქმეები დალაგებული ჰქონდეს და შეეძლოს მთელი ყურადღება კუნძულებს მიაქციოს.

## საერთაშორისო კონგრესი საფრანგეთში.

(სასოფლო კასსა-ბანკების გამავრცელებელი საზოგადოება).

აგვისტოს შუა რიცხვებში საფრანგეთის ქალაქ ტარბში (Tarbes) სასოფლო კასსა ბანკების საზოგადოებამ მოახდინა საერთაშორისო კონგრესი. კონგრესი როგორც საზოგადოების საკუთარ ორგანოდგან (Bulletin Mensuel Août 1897) სჩანს, დიდად საინტერესო უნდა ყოფილიყო. კონგრესის თავმჯდომარედ არჩეული იყო ბ-ნი ლუი დიურანი, საზოგადოების (union des caisses rurales et ouvrieres) გამგე დირექტორი.

ბ-ნის ლუი დიურანის საზოგადოება ერთი საუკეთესო დაწესებულებაა საფრანგეთში, რომელსაც მჭიდრო ნიადაგზედ დამყარებულ სასოფლო კასსა-ბანკების გავრცელების საქმე საუცხოვოდ მიჰყავს. კასსები ყველა რაიჰპაიზენის სისტემისა არის. დღითი-დღე საკვირველის სისწრაფით იზრდება ამ საზოგადოების ბანკები სხვა-და-სხვა სოფლებში. მაგალითად მოვიყვანოთ უკანასკნელი ანგარიში. 6 ივნისიდგან პირველ ივლისამდის დაუარსებიათ სხვა-და-სხვა კომმუნაში ათი სასოფლო ბანკი; სულ საზოგადოებაში ითვლება 600 კასსა-ბანკი. ამ საქმით საზოგადოების ყველა ნაწილი დააინტერესა დიურანმა, ყველა წოდების კაცი მოიწვია, დაიმსახურა საზოგადოების არაჩვეულებრივი ნდობა და სანატრელის წინსვლით ავრცელებს ხალხის ეკონომიურ მდგომარეობის შემამსუბუქებელ ამხანაგობათ. union des caisses rurales-ს მთავრობამ რამდენჯერმე მიაწოდინა დახმარება, მაგრამ დიურანმა უკანვე დააბრუნა. „ყოველი დახმარება მთავრობისა ჩვენს საზოგადოებას იმის იარაღად გარდაქმნის და მალე არევ-დარევით მოუღებს ბოლოსაო“. მართლაც რა დახმარება სჯობია საზოგადოდ დამსახურებულ ნდობასა და სიყვარულს. თავისი სიტყვა შეასრულა კიდეც ლუი დიურანმა. საფრანგეთში ამის გარდა ბევრი საზოგადოება არსებობს, რომელთაც მთავრობა ხელს უწყობს, მაგრამ არც ერთის საქმე არ მიმდინარეობს ხეირიანად. ზოგი ამათგანი უქმდება, ზოგი ძლივს არსებობს, დიურანის საზოგადოება-კი დღითი-დღე იზრდება, ძლიერდება.

ვისაც ჰსურს გაიცნოს ლუი დიურანის მოღვაწეობა, იმისი საზოგადოება, ვთხოვ გადაათვალიეროს „მეურნის“ შარშანდელი ნომრები, სადაც ამის შესახებ ჩვენ გვქონდა დაბეჭდილი ვრცელი წერილი *). მალე ლუი დიურანისგან მივიღებთ წესდებას და სახელმძღვანელოს, რომელსაც მკითხველსაც გავაცნობთ, მანამ-კი რაც დღემდის ვთქვით, ისიც ვიკმაროთ!

ლ. დიურანმა თავისის საზოგადოებით, არა თუ საფრანგეთი, მთელი ევროპა დააინტერესა, რასაც აშკარად გვიმტკიცებს უკანასკნელი ტარბში მომხდარი საერთაშორისო კონგრესი. რომელ კუთხიდგან არ იყო წარმომადგენელი. კონგრესის ერთს მესამედს მარტო სამღვდელოება შეადგენს (აი, როგორ აინტერესებს სოციალურ-ეკონომიური საგნები). გარეშე ქვეყნებიდგან დაესწრნენ: სტრასბურგიდგან — დოქტორ სტროვენი, ბრიუსელიდგან (ბელგ.) — დიეპრო, ბუდაპეშტიდგან — გრაფი ალექსანდრე კაროლი, ლონდონიდგან — ვოლფი, მადრიდიდგან — სენატორი მონტერარიო, სემენდრიიდგან (სერბია) — მიხეილ აბრამოვიჩი, ტურინიდგან — გრაფი კაისსოტიდი ჩიუსანო, რუსეთიდგან — ნიკოლოზ ლევიცკი და სხვ. მაგალითად ესეც კმარა. ყველა ესენი და ბევრნი სხვანიც კითხულობდნენ რეფერატებს. კონგრესზედ წაკითხული რეფერატები დიდად საინტერესოა, როგორც სათაური გვიჩვენებს (ჯერ არ დაბეჭდილა არც ერთი შრომა). ყველა რეფერენტი მოწადინებული იყო თურმე ნათლად დაესურათ-ხატებინა სა-

*) იხ., „მეურნე“ 1896 წ. №№ 22, 23, 27 და 29. „შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობები“.

---

ლი“... ვნახეთ და თუმცა ამ წმიდა ადგილის შეუფერებელი ამბავი იყო, მაინც ბრაზი მოგვივიდა, გაგვახსენდა რა ჩვენნი კეთილის მყოფელნი, რომელნიც ძალად იბრმავებენ გონების თვალებს და უკულტუროს, უისტორიოსა და უწარსულო ხალხს გვეძახიან. განა უკულტუროსა, უისტორიოსა და უძლურ ერს შეეძლო შექმნა იმისი, რაც არის გელათის მონასტერი და რაც ამ მონასტერში ძველი და საკვირველი ნივთებია! ვაი ჩვენს აწინდელს გალაჩრებასა და განაცარქექიავებას, რომ ასეთი, თუმცა უტყვი, მაგრამ ძალუმი მოწმე ვერაფრად გამოგვიყენებია. მე ურწმუნოსა და უსასოს-კი ესეც არა მრწამს. არა მრწამს იმიტომ, რომ ჩვენ ნასწავლ ახალგაზრდათაგან შავ-მოსილებას და მერე კიდევ მონასტერში ცხოვრებას არარავინ ჰკადრულობს, ხოლო უცხოება რად მოგვინაღვლის, რად აიტკივებს ჩვენთვის ან თავსა და ან გულს!..

—

კურსების ავან-ჩავანთა შორის ერთი ამბავიც უნდა აღვნიშნოთ, რომელსაც თუმცა კურსებთან არაფერი პირდაპირი დამოკიდებულება აქვს, მაგრამ შესაძლებელია „კურსისტებისთვის“-კი საყურადღებო დარჩეს და ესეც საქმეა. კურსების დროს გიახლათ ქუთაისში „ბავშვების მოკეთე“, რომელიც მართლა ძალიან მოკეთე და მოსიყვარულე უნდა იყოს ბავშვებისა, რომ იმ სიცხე პაპანაქებაში ასეთ დიდმოგზაურობას არ დაერიდა და კორტოხი გადმოლახა. ამ ახალს სტუმარს ქუთაისისას პირველად მხოლოდ მე გამოვემცნაურე. ვინ იცის, „ბავშვების მოკეთე“ იქნება არც ჩემი ავის მდომი დარჩეს-მეთქი. მაგრამ რაღა დავფარო, ცოდვა გამჟღავნებული სჯობია, თუმცა არა ერთხელ გადავფურცლე და გადავათვალიერე, მაინც ბევრი ვერაფერი სიკეთე გამოვრჩი. დალოცვილ ნათაძეს ამ წიგნის შედგენის სურვილი დაჰბადებია თუ არა, იმ დღიდგანვე მხოლოდ ასოების გასუქებას შესდგომია და, სიმართლე უნდა ვსთქვა, საგულდაგულოდაც გაუსუქებია. სხვა-კი ყველაფერი და ყოველივე უყურადღებოდ მიუტოვებია და ძალზედ დაუმჭლევებია. ავიღოთ თუნდა სურათები ამ წიგნისა, რა უშნოდ, ულაზათოდ და უსიმმეტრიოდ არის ახუხულავებული. თოხი ხარზედ უდიდესია, სოკო ხეზედ უმაღლესია (ასე იფიქრებთ, იმ ქვეყანაში, სადაც ეს წიგნი შეუდგენიათ, ხე იზრდება სოკოს ქვეშ და არა ხის ქვეშ სოკოო), რწყილი ღორზედ უფროსია, რკო ღორის ოდენაა, ლომი ღორზედ პატარაა, კამეჩი პეპელაზედ მცირეა. ქათამი მამლის ჯიჯლიბოზედ მოთავსდება და სხვ. ამას თქვენი ჭირი წაუღია. ახლა სხვა ღირსება ვნახოთ მაგ წიგნისა. „ბავშვების მოკეთე“ ბავშვებს კითხვასაც ასწავლის, წერასაც, ხოლო მთელის სიტყვის (წინადადებისას ნურას ვიტყვით) დაწერას-კი არა. ესეც არაფერი. ნათაძე ქართველ ბავშვს ქართულად ალაპარაკებს და ასეთს უხამს რასმეს-კი ათქმევინებს: „მოვიდა მღვდელი დიაკვნითო“. მე თუნდა დავიფიცავ, რომ ქართველი ბავშვი ამას არ იტყოდა, რადგანაც, თუმცა მღვდლებს ბევრს აუგს სწამებენ, მაგრამ დიაკვანზე მჯდომი მღვდელი საქართველოში ჯერ მაინც არავის უნახავს და, მაშასადამე, ვერც ბავშვი ნახავდა. ასეთი მარგალიტები „ბავშვების მოკეთეში“ არა ერთი და ორია, უფრო ხშირად კი იქ შეხვდებით, სადაც თითონ ნათაძის კალმის ნაჭირნახულევია მოთავსებული. ხოლო რაც შეეხება ამ წიგნში ჩართულ ზოგიერთ ლექსებს ჩვენის პოეტებისას, ესენი ხომ ყველა საბავშვო წიგნისათვის მშვენება იქმნება, მაგრამ ნათაძემ რაო? რაში მომეცით ექვსი შაურიო? ნათლიღება დღეს მისი „ზაკაზით“ მებაღემ რომ გაყინული ყვავი იპოვა, ალბად იმაში თუ თხოულობს! მაგისთანა მოკეთეებისაგან ღმერთმა ბავშვებიც დაიფაროს და ასაკოვანნიც!

—

ერთი მოკეთე და მწყალობელი ჩვენს კურსებსაც ჰყავდა და „რადგანაც სიფრთხილეს თავი არ ასტკივა“, რომ არ დაგვენდუროს, ცოტა რამ იმის შესახებაც უნდა ვსთქვა. ეს მოკეთე კალმოსანი ბრძანებულა და კალმის რიდი და პატივისცემა-კი არა ჰქონებია. ერთ ორ-ხელ ბედნიერ გვყო მობრძანებითა თვისითა, ორის გაკვეთილის მიცემის ნება იშოვა, შემდეგ დაბრუნდა ალისუბანში და თავის თავს თითონვე შესძღვნა დითირამბები და საქებარი აქანისტოები. მევე სამაგალითო გაკვეთილები მივეციო და მას შინა მევე ვაწერ ხელსო, ხოლო მიქაძე სუსტი მასწავლებელია, სამ განყოფილებასთან მეცადინეობა არ შეუძლია და მის გაკვეთილებს სიცოცხლე აკლიაო. თქვენ გადღეგრძელათ ღმერთმა! მიქაძის გაკვეთილების სიცოცხლესთან რა გინდოდათ, როცა თქვენმა სამაგალითო გაკვეთილმა ისე სამაგალითოდ დააფრთხო მოსწავლენი, რომ სიცოცხლეს კინაღამ გამოასალმა. მიქაძის გაკვეთილების დროს-კი ბავშვებს ლოყა ვარდის ფრად უყვავოდა. მაგრამ ნათქვამია: „propria laus sordet“.

კნინი.

სოფლო კასსების მდგომარეობა. რუსეთის წარმომადგენელ ნიკოლოოზ ლევიცკის წაუკითხავს მოხსენება შემდეგის სათაურით: „Jes arteles agricoles russes“ (მიწის მუშათა ამხანაგობა რუსეთში), ესეც არ იქნება ინტერესს მოკლებული, რადგან ბ-ნი თვით ლევიცკი ხერსონის „არტელის“ მმართველი თან ნაფიცი ვექილია. სხვათა შორის აბბატ მიულლერს წაუკითხავს-„Biographie de Guillaume Raiffeiseh (ქ. რაიჭაიზენის ბიოგრაფია) რასაც მკითხველს დაბეჭდვისთანავე გავაცნობთ.

როცა ყოველივე კონგრესზედ წაკითხული დაიბეჭდება „union des C. R. et ouvr“-ის ჟურნალში, ჩვენ საშუალება გვექნება საზოგადოების გავაცნოთ სასოფლო კასსების მდგომარეობა მთელ ევროპაში, ამის ცოდნა ჩვენთვის დიდად საჭიროა.

მალაქია ბოლქვაძე

## დამაკვირდი

ერთის ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა უფრო მეტად ჭკირს, ვიდრე ბუდდას მატეესებელამდე შიდ-სართულიანის სამლოცველოს აგება.

ჩინური.

***

რასაც კი აგროებ, თავის შენისათვის აგროებ.

ქაბუსი (სპარს.)

***

ჭეშმარიტი თავისუფლება ის არის, რომ თავი შენი ენებათ ძლევა არ დაუმორჩილო.

დაკერ.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ადამიანი რომ სცდილობს მეცნიერების წარმატებისათვის დ შრომობს, რაც შეეძლება, ქვეყნის წარმატებას ემსახუროს, მაგრამ, ამასთანავე ცოტა არ არის ისეთიც, რომელიც წარმატებას ხელს უშლის და პირ იქით ქვეყნის მტერს—იმას უმართავს ხელსა. საუბედუროდ, ზოგი მეცნიერი თვის გონებას, სწავლს და შრომას არა ჰხოდავს და იმის ფიქრში და ცდაშია, ისეთი იარაღი რამ გამოიგონოს, რომ რაც შეიძლება მალე და ადვილად გაწყვიტოს მთელი რაზმი, ან მთელი დიდი ჯაფშნიანი ხომალდი დალუპოს ხელად.

კარგა ხანია, რაც ბევრი მეცნიერი სცდილობს ისეთი ჰაერსაცურავი გამართოს, რომ ადვილად შეიძლებოდეს სამხედროდ მტრის ბანაკის დათვალიერება.

მაგრამ დიდის ხნის მეცადინეობამ ნათლად დაამტკიცა, რომ ჰაერსაცურავი ამ საქმისათვის არ არის, რადგანაც მისი გაწევნება ერთს ადგილზე მეტად ძნელია და თითქმის მოუხერხებელიც. ამ საქმისათვის შრომა და მეცადინეობა არ დაუზოგავს ერთს გერმანელს აფიცერს პარსევალს და ბოლოს გამოუგონია ერთი მანქანა, რომელსაც ჰაერში აქვს ყუმბარები და იქიდგან ისვრის. ერთს ამერიკელს კიდევ მოუგონია ისეთი მანქანა, რომელსაც ყუმბარები აქვს მალაო და იქიდგან ისვრის.

მეორე ამერიკელმა კიდევ, სახელად მაქსიმმა, ისეთი მანქანა გამოიგონა, რომ ამიერიდგან არა ვგვონია გინებმ ავეთის ჯაფშნიანი ხომალდები, რადგანაც ამ მანქანას ვერც ერთი ხომალდი ვერ გაუძლებს. ჯერ ერთი, რომ ეს მანქანა ძლიერ დიდს მანძილზედ ისვრის ყუმბარებს და მეორეც ისე ძლიერად ესვრის ყუმბარას, რომ რაც უნდა მაგარი ხომალდი იყოს, ნახევარ საათს ვერ გაუძლებს. ამას ზედ ემატება კიდევ შემდეგი გარემოება: მაქსიმმა გამოიკვლია, რომ მაღლომ ადგილიდგან ძლიერ ადვილია იმის შეტყობა, რა მანძილზედ არის გემი. საგანგებოდ ამისათვის გაკეთებულ მანქანით კაცი ძლიერ ადვილად ისე მოაწყობს ყუმბარების სასროლ მანქანას, რომ არც ერთი არ ასცდება ხომალდს.

## სასამართლოს მატიანე

თავ. ნიკოლოოზ ამილახვრის მკვლელობის საქმე.

ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის დროებითმა განყოფილებამ, რომელიც გორში იმყოფებოდა 3 და 4 სექტემბერს, გაარჩია საქმე თავ. ნიკოლოოზ ამილახვრის მკვლელობისა და ვასილ გეტიშვილის მოკვლის განზრახვისა, რომელშიაც ბრალდებოდათ 22 წლის გლეხს [illegible] და 20 წლის გიორგი კიკნაძეს; მესამე ბრალდებულს ქ. გორის მცხოვრებ, 41 წლის ესტატე თვარელიძეს ის ბრალდებოდა, რომ ფანიევი და კიკნაძე დაქირავა. ამ საქმის შესახებ მოწმედ 55 კაცი იყო გამოძახებული.

მოკლული და ბრალდებულნი გორში მცხოვრებ ცუდად ყოფაქცევის ქალს მაშო დათუაძეს თურმე ეტრფიალებოდნენ და ამის გამო ზხნ. ფანიევს და თ. ამილახვარს მრავალჯერ ჭქონიათ უსიამოვნება, რომელიც საბედისწეროდ [illegible]. 23 დეკემბერს თავ. ნიკოლოოზ ამილახვარი მაშოს თურმე ეწვია სურამში. სამწუხაროდ, ეს ამბავი ფანიევმა და გიორგი კიკნაძემ შეიტყვეს და იმავე ღამეს სურამში წავიდნენ. 24 დეკემბერს ფანიევი და ამილახვარი ერთმანეთს შეხვდნენ და წხება მოუვიდათ, ერთმანეთს ხანჯლებით მიეტანენ, მაგრამ დროზე გააშველეს. ამავე ღამეს ამილახვარს ამბავი თურმე მიუვიდა, რომ დედა ავად არის და გორში დაბრუნდა. ფანიევი და კიკნაძე უკან გაჰყვნენ, რომელნიც მეორე დღეს, 25 დეკემბერს, გორში დაუწყეს ძებნა ამილახვარს. ამილახვარი ამ დროს [illegible] თურმე იყო. ფანიევმა და კიკნაძემ [illegible], რომლის დროსაც [illegible] არაფერი არ იხმარეს.

ამავე დღეს, 25 დეკემბერს, საღამოს, თავ. ნიკ. ამილახვარი რკინის გზის სადგურში მივიდა და მატარებელს დაუწყო ცდა, რომ კასპში წასულიყო. [illegible]

თვარელიძემ უარი სთქვა, არ ვიცოდი თუ ფანიევი და კიკნაძე ჩემს ნომრებში იფარავდნენ თავსაო და ამისათვის სრულიად უარჰყო თავისი დანაშაულობა ამ საქმეში.

ოლქის სასამართლომ ფანიევი და კიკნაძე დამნაშავედ სცნო და მადნებში მუშაობა გარდაუწყვიტა; ამასთანავე ჩამოართვა ყოველგვარი უფლება: ფანიევს 13 წლით, ხოლო კიკნაძეს—9 წლით. ბრალდებული თვარელიძე სასამართლომ გაამართლა.

## გამოსადეგი ცნობა.

ჭიანჭველის წინაღმდეგ მრავალი წამალია, მაგრამ, ასე ამბობენ, ყველაზედ უკეთესი საშუალება შემდეგი არისო. ჭიანჭველა ერთს გზას აირჩევს ხოლმე და მუდამ ამ გზით დადის. ამიტომ ძლიერ ადვილად აღმოაჩენს კაცი იმ ნაჭვრეტს, საიდგანაც ოთახში შემოდიან ჭიანჭველები. საჭმარისია აიღოთ ცოტა ბამბა, დაასველოთ ნავთში, ბამბა დაუცოთ ნაჭვრეტებს და კირით გადალესოთ; სრულიად დაიკარგება ჭიანჭველის ხსენება.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

5 სექტემბერი.

**დონის როსტოვი.** „პრიაზ. კრ.“ იუწყება, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში საქონლის ჭირი გაჩნდაო. სასტიკ ღონისძიებათა მიღებას უკვე შეუდგნენო.

**ბერლინი.** როგორც კერძო ცნობებიდგანა სჩანს, იმპერატორი ვილჰელმი ოქტომბრის პირველ რიცხვებში დედოფალ ვიქტორიას ესტუმრება.

**სიმლა.** მოხმანდების წინააღმდეგ ექსპედიციის მეორე ბრიგადას, გენერალ ჯეფრიდის უფროსობით, მდინარე პანიხორის იქითა მხარეს დაეცნენ. მოჰკლეს ინგლისელების ორი აფიცერი და ორი ჯარის კაცი, ხოლო დასჭრეს ერთი აფიცერი და ხუთი ჯარის-კაცი.

**კონსტანტინეპოლი.** საელჩოებში ეჭვში არიან, რომ პორტამ სახელმწიფოთა გადაწყვეტილობა უეჭველად მიიღოს. მე-2 და მე-6 მუხლების შესახებ წინააღმდეგობას მოელიან, მაგრამ იმედი აქვთ, რომ ეს გადაწყვეტილება ბოლოს მაინც მიღებული იქმნება.

მუშაობის მინისტრმა წინადადება შეიტანა 7,000 კილომეტრის მანძილზედ რკინის გზის გაყვანის შესახებ.

**პარიჟი.** 4 სექტემბერს ჰანოტომ გაუმართა სადილი სიამის მეფეს, რომელსაც დაესწრნენ მინისტრები, გენერლები, ადმირალები და სადიპლომატო კორპუსი.

**კონსტანტინეპოლი.** 4 სექტემბერს თოფხანეში ბჭობა იყო. *).

6 სექტემბერი.

**პეტერბურგი. პეტარბურგი.** 5 სექტემბერს მოვიდა დეპუტაცია პრუსიის რაზმისა, რომელიც სრულიად რუსეთის იმპერატორის ნიკოლოოზ პირველის სახელს ატარებს.

**კრასნოიარსკი.** ენისეის ოლქის სოფელ ანციფეროვკიდგან 2 სექტემბერს, ღამის 11 საათზედ ჩრდილოდასავლეთის მხარეს, 5 წუთის განმავლობაში მოჩანდა ანდრეს ჰაეროსტატი.

**ტაშკენტი.** საღამოს 8 საათსა და 8 წუთზედ მოხდა ძლიერი და ხან გრძლივი მიწის ძვრა: საათები გაჩერდა, ზარები თავის თავად რეკავდნენ, ხალხი ძლიერ დაშინდა. ასეთივე მიწის-ძვრა მოხდა სამარყანდში, საღამოს 8 საათზედ.

**პარიჟი.** სიამის მეფის პატივ-საცემლად გამართულ სადილზედ ჰანოტომ განაცხადა. ოფიციალურად მიღებულ დეპეშიდგანა სჩანს, რომ საბერძნეთ-ოსმალეთის ზავის პირობის 2 და 6 მუხლი შეწყნარებული არისო. ზავის პირობას ხელს მოაწერენ შაბათს.

**პარიჟი.** პრეზიდენტის სახლში გამართულ საუზმის შემდეგ სიამის მეფემ დაათვალიერა გავრის საზღვაო დაწესებულებანი და შემდეგ წავიდა ინგლისის გემზედ, რომელსაც სახელად „სტელლა“ ეწოდება. პრეზიდენტი ფორი მეფეს ზღვის პირას ელოდა. პრეზიდენტი და მეფე მეგობრულად გამოეთხოვნენ ერთმანერთს.

პეტერბურგის ბირჟა, 5 სექტემბერი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გაცვლილისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . | „ — | — „ | — „ |
| 5%.-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | 205 |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | 100⅜ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკისა . | 102 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 99¼ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | 102 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 99¼ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 99 | — „ | — „ |
| % პირველი შიგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 288¼ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 247 |

## „ივერიის“ ფოსტა

**სოფ. შე—დი. მ. გ—ძეს.** თქვენი ახალი ამბავი არ დაიბეჭდება, რადგან საახალამბო სულ არა არის-რა.

**ქ. ბო—მი. რაფ კ—ძეს.** გირჩევნიათ ლექსების წერას თავი დაანებოთ.

**ქ. ბ—მი. ანტონიძეს.** გამოგვიგზავნეთ საბუთი რამე და ხელ-მოწერილი ქაღალდი სხვებისაგანაც.

**ქ. ნუხა ქ. უ—ლს.** 4 მან. 60 კაპ. მივიღეთ დ. ე—ძისაგან.

რედაქცია აცხადებს, რომ ხელ-მოუწერელს წერილებს იგი არ დაჰბეჭდავს და ამიტომ სთხოვს წერილების მომწერთ, უთუოდ წერილს ქვეშ მოაწერონ ადრესი და ვინაობა მომწერისა.

## წერილი რედაქციის მიმართ

3 ივლისს ამა წლისას იყო წლიური გამოცდა კონსტანტინეპოლის ჩვენ ქართველ-კათოლიკეთა ახალ დაარსებულ ფრანგულ ქართულ სკოლაში, სადაც ამ წელს სწავლობდა სულ ათი ყმაწვილი მესხ კათოლიკენი. ყმაწვილებმა ზედ მიწევნით კარგად იცოდნენ ქართული კითხვა, ცოტა წერა, გრამატიკა და ხალხური სიმღერები, ფრანგულლათინურიც გვარიანად იცოდნენ. ყველა იქ დამსწრენი კმაყოფილი დავრჩით, გამოცდამ გასტანა ოთხი საათი. ბოლოს დავარიგეთ საყმაწვილო წიგნები, რომელიც შემოსწირეს ჩვენს სკოლას ბ-ნთ იოსებ ლეჟავამ და მაქსიმე შარაძემ თექვსმეტი ცალი პატარ-პატარა წიგნაკები მშვენიერისა და შესაფერის შინაარსით წმიდანების ცხოვრებიდგან. ეს წიგნაკები დიდის სიხარულითა და პატივით მიიღეს პაწაწინა მესხებმა, რომლების მომავლისაც ჩვენ დიდი იმედი გვაქვს.

დამფუძნებელი წინამძღვარი სკოლისა მამა სტეფანე გიორგიძე ძმებითურთ და მე დიდს მადლობას ვუძღვნით იოსებ ლეჟავას და მაქსიმე შარაძეს ზემოდ მოხსენებულის შემოწირულებისათვის.

იასე რაჭველი


# განცხადებანი

საყურადღებოა ავადმყოფთათვის

**ფისაც ქარები აწუხებს** (იმ შემთხვევაშიაც-კი, როდესაც ძვალი დასივდება), **კუჭის ავადმყოფობა, ბუასილი, ნაფაზი, სისხლნაკლებობა** და საზოგადოდ **გაციებულთათვის** ყველა ამ ავადმყოფობის წინააღმდეგ ძლიერ კარგია სახელ-განთქმული ეგრედ წოდებული „კუზმიჩის ბალახი“ („Кузьмичева трава“), რომელიც ძლიერ ბევრი იყიდება.

ნამდვილი „კუზმიჩის ბალახი“, ახალი, დაბეჭდილი ტილოს პარკებში, ფესვებით და ნაყოფით. მაისში დაკრეფილი, მეტად-სუნელოვანი, მივიღეთ ტფილისში და იყიდება **მხოლოდ** შემდეგ სააფთიაქო მაღაზიებში: როსტომოვისა, პუშკინის ქუჩაზედ; პაპოვისა, ვარანცოვის ხიდთან; არისტაკოვებისა, ვარანცოვის ძეგლთან და მიხეილის ქუჩაზედ, სახლი № 104; იშხანოვისა; ოჰანესიანცისა (მიხეილის ქუჩა); ფოსსისა; ფირალოვისა (ოლგას ქუჩა), ჯანაგოვისა, რიყის მოედანზედ; და აფთექებში: ალმუროვისა, კამოცკისა და პერლოვის ჩაის მაღაზიაში, პუშკინის ქუჩაზედ. (4—171—1)

## იმლევა ქირით

ნიკოლოზის ქუჩაზედ, საგინაშვილის სახლში, № 21.

შუა სართულში **ათი ოთახი**, წყლით, საბანებელით და სხვა მოწყობილობებით და ზემო სართულში **ხუთი ოთახი** თავისის მოწყობილობებით.

10—4

## სასწავლებელი და პანსიონი

კოლეჟსკი ასესორის ივ. ზ. ტერსტეფანოვისა ამზადებს გიმნაზიებისა და სხვა სასწავლებლებისათვის და ასწავლის აგრედვე ბუჰგალტერიას. ფასი თვეში 5 მანათიდგან, სწავლის პონსიონში 15 მანეთიდგან. ბუჰგალტერიის კურსი 25 მანეთიდგან. ვარანცოვის ძეგლთან, ელისაბედის ქუჩა, № 30. (10—157—8)


*) ეს დეპეშა გუშინ ვერ დავბეჭდეთ, რადგან ღამე ძალიან გვიან მოვიდა.

რედ.

Дозволено цензурою, Тифлисъ 6-го Сентября 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.